კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:

ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ს/კ 01.14.16.008.073, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

საგანი:

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო საცხოვრებელი კომპლექსის შენობები ხუთსართულიანია და შედგება კონსტრუქციულად დამოუკიდებელი ბლოკებისგან. კომპლექსის ერთი ნაწილის ბლოკებს გააჩნიათ მიწისქვეშა ერთი დონე. დანარჩენი ბლოკები უსარდაფოა. სარდაფიანი ნაწილის ბლოკებიდან უახლოესი მომიჯნავე შენობა განლაგებულია ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.16.007.239 და დაშორებულია 21,0 მეტრით. შენობა ორსართულიანია, უსარდაფო, მონოლითური რკინაბეტონის კარკასული კონსტრუქციებით და კომბინირებული, ძირითადად წერტილოვანი საძირკვლებით.

20 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებული მომიჯნავე შენობები განლაგებული არიან უსარდაფო საპროექტო ბლოკებთან.

ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.16.008.010 განლაგებულია 3 სართულიანი უსარდაფო შენობა, რომელიც საპროექტო შენობებიდან დაშორებულია 17,2 მეტრით. შენობა კარკასულ-ჩარჩოვანია, რკინაბეტონის კონსტრუქციებით და წერტილოვანი საძირკვლებით.

დანარჩენი შენობებიც უსარდაფოა, ქვის წყობის მზიდი კედლებით და ლენტური ტიპის ბეტონის საძირკვლებით. კერძოდ:

- 7,7 მეტრით დაშორებული 2 სართულიანი შენობა ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.16.008.074;

- 14,2 მეტრით დაშორებული 1 სართულიანი შენობა ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.16.008.028;

- 17,0 მეტრით დაშორებული 1 სართულიანი შენობები (N2 და N4) ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.16.008.140;

ყველა ზემოაღნიშნული მომიჯნავე შენობების მიმართ დაცულია სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები ან 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნა. ნორმების ეს პუნქტი ასახავს მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგავლენის პარამეტრებს.

დასკვნაში აგრეთვე განიხილება არსებული გზა, რომელიც ემიჯნება ნაკვეთის წითელ ხაზს. აღნიშნულ წითელ ხაზთან 3,0 მეტრის დაშორებით მოსაწყობია სარდაფიანი ბლოკების საძირკვლის ფილა. ამავე დროს მისი ქვაბულის ჩაღრმავების მაქსიმუმი გზის ნიშნულების მიმართ არ აღემატება 4,0 მეტრს. შესაბამისად ქვაბულის ფერდოს მოწყობა (დახრილობა) შესაძლებელია განხორციელდეს საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში მოცემული სამშენებლო ნორმების და წესების 3.02.01–87 პ.პ. 3.11, 3.12, 3.15; III–4–80 მე-9 თავის მოთხოვნების სრული დაცვით.

ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ს/კ 01.14.16.008.073, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების და არსებული გზის მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 22-11-2023